ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N11

ქ. დუშეთი

15 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ 229324451) (შემდგომში "შემსყიდველი"), მერის ზურაბ სეხნიაშვილის და მეორეს მხრივ შპს „საინფორმაციო სააგენტო პროფ-ნიუსი" (შემდგომში "მიმწოდებელი") (ს/კ 406268006) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელიანორა დუდაევის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გაშუქება ვებ გვედზე (www.prof-news.com). (CPV კოდი 92400000 - ახალი ამბების სააგენტოების მომსახურეობა)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1300 (ერთი ათას სამასი ლარი 00 თეთრი) ლარს;

2.2. მომსახურეობის ღირებულება იანვრის თვეში შეადგენს 100 (ასი) ლარს, ხოლო ყოველი მომდევნო თვის განმავლობაში შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

2.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2.ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის უფლებამოსილი პირთა მიერ ხელმოწერის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3.მიღება ჩაბარების აქტი დგება ყოველი თვის ბოლო რიცხვებში.

3.4.საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2.მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1.მიმწოდებელი მომსახურების განახორციელებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით. ვებ გვედზე (www.prof-news.com).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ამ სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

ბ) შემსყიდველს ყოველდღიურად მიაწოდოს საინფორმაციო ახალი ამბები (ანონსები, ნიუსები) და უზრუნველყოს მის არქივზე წვდომა;

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და სააგენტოს ინიციატივით ვადაზე ადრე შეწყდება ხელშეკრულება, დამკვეთს დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხის ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულების გამოკლებით.

6.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) შეცვალოს ბმულის მისამართი www.prof-news.com.

გ) სააგენტოს შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე არ განათავსოს ვებ-გვერდზე დამკვეთის მიერ მიწოდებული საინფორმაციო ახალი ამბავი (ნიუსი), მათ შორის ისეთი,რომელიც შეიცავს არაკორექტულ, არაკორექტულ, არაეთიკურ ან მესამე პირის შეურაცხმყოფელ ინფორმაციას.

6.3.შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის და სააგენტოს წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს დისტრიბუციის, გაცვლის, გაყიდვის ან სხვა მიზნით.

გ) სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მედია სასუალებით გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო (მედიაჰოლდინგის დასახელება - "პროფ-ნიუსი").

6.4.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებისას მოახდინოს მისი თარგმნა ან რედაქტირება იმ პირობით, რომ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

6.5.თითოეული მხარე ვალდებულია:

ა) ნებისმიერი შეტყობინება განახორციელოს წერილობითი ფორმით;

ბ)დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორიცაა: მისამართების, საბანკო რეკვიზიტების, სამართლებრივი ფორმის, ელ.ფოსტის, ტელეფონის და ა.შ.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1.ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5.მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

დუშეთის მუნიციპალიტეტი (ს/კ229324451) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. დუშეთი რუსთაველის ქ N27 ხაზინის ერთიანი ანგარიში , ბ/კ TRESGE22. სახაზინო კოდი ; GE24NB0330100200165022

"მიმწოდებელი" შპს „საინფორმაციო სააგენტო პროფ-ნიუსი" (ს/კ 406268006). ქ.თბილისი. ინგოროყვას ქ№6 მომსახურე ბანკი: სს „ბანკი ქართუ" ბ/კ CRTUGE22 ა/ა GE48CR003000 9476353602.

დუშეთის მუნიციპალიტეტი	შპს „საინფორმაციო სააგენტო პროფ-ნიუსი"
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
ზურაბ სეხნიაშვილი	ელიანორა დუდაევა

Dusheti Municipality

Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2019.01.18 12:21:06 +04'00'